ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 261

ქალაქი ქუთაისი 31 იანვარი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით
არსებული მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების დეტალური გეგმის
შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდის №03.04.25.216), განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გან № 102
„1“ 02 2024 წ.